საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №28/ნ

2025 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

„ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ექიმ-ნარკოლოგთა კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 8 ივლისის №21/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ექიმ-ნარკოლოგთა კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 8 ივლისის №21/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 08/07/2025წ.; სარეგისტრაციო კოდი: 470230000.22.035.017180) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ექიმ-ნარკოლოგთა კომისიის შემადგენლობა) პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) **ირინა ამნიაშვილი** – მედიცინის დოქტორი, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წამყვანი ნარკოლოგი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **მარინე დულარიძე** – შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ თბილისის ნარკოლოგიური ამბულატორიის ნარკოლოგი, კომისიის წევრი;“.

2. ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის (ექიმ-ნარკოლოგთა კომისიის საქმიანობის წესი):

ა) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. კომისიის საქმიანობის საერთო ზედამხედველობას ახორციელებს სავალდებულო მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების ადმინისტრაცია.“;

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის ყველა ნარკოლოგი წევრი, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთაგან ერთ-ერთი წევრი მაინც.“;

ბ.ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. ნარკოლოგთაგან კომისიის რომელიმე წევრის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში სავალდებულო მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია დროებით ჩაანაცვლოს კომისიის აღნიშნული წევრი

ამავე დაწესებულებაში მომუშავე ნარკოლოგით, რომელიც შესაბამის პერიოდში სრულყოფილად შეასრულებს კომისიის წევრის ფუნქციებს.

3^2. ნარკომანიით დაავადებული პირისთვის სავალდებულო მკურნალობის დანიშვნის მიზანშეწონილობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის ნარკოლოგი წევრების კომპეტენციას მიეკუთვნება განსახილველი საკითხის კლინიკური შეფასება, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კომპეტენციას – კომისიის მიერ მისაღები გადაწყვეტილების თავსებადობის შეფასება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, მათ შორის, „ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 2 ივლისის №241 დადგენილებით დამტკიცებულ წესსა და ამ ბრძანებასთან, აგრეთვე ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგად პოლიტიკასა და პრინციპებთან.“;

ბ.გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **მიხეილ სარჯველაძე**